



შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი  
GEORGIAN AMERICAN UNIVERSITY, LLC



კავკასიის უნივერსიტეტი  
CAUCASUS UNIVERSITY



## კ უ რ ი კ უ ლ უ მ ი

### საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები (ერთობლივი)

### საფეხური

მაგისტრატურა

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სოციალური მეცნიერებების მაგისტრი - 0319

Master of Social Science - 0319

### პროგრამის ხელმძღვანელი

ხელმძღვანელები პარტნიორი უნივერსიტეტებიდან:

- მაია გონაშვილი (შპს კავკასიის უნივერსიტეტი);
- მარინა მუსხელიშვილი, იაგო კაჭკაჭიშვილი (სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
- გია ლილუაშვილი (შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი).

### პროგრამის მოცულობა

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა კვალიფიკაციის მისაღებად უნდა დააგროვოს 120 კრედიტი.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

ევროპული ინტეგრაციის და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა იყოფა სამ კომპონენტად: სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი, აგრეთვე მასში შედის თავისუფალი კომპონენტი.

სასწავლო კომპონენტი არის სასწავლო ელემენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს მაგისტრანტის დარგობრივ დახელოვნებას, ხელს უწყობს მას და ამზადებს პაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად.

---

ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა მოიცავს დარგობრივ სავალდებულო სასწავლო კომპონენტს 65 ECTS კრედიტის მოცულობით, დარგობრივ არჩევით სასწავლო კურსებს/პრაქტიკას 25 ECTS კრედიტის მოცულობით (შეთავაზებული 80 ECTS კრედიტიდან), კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომს 30 ECTS მოცულობით.

პროგრამაში 10 კრედიტი არჩევითი კრედიტების ხარჯზე ეთმობა თავისუფალ კომპონენტს, რომლის დაგროვებაც სტუდენტს შეუძლია რომელიმე პარტნიორ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**პრაქტიკულ კომპონენტში მაგისტრანტს შეუძლია 5 კრედიტს დაგროვება:**

- სახელმწიფო სექტორის იმ დაწესებულებებში, რომლებიც თვითონ აცხადებენ და ითხოვენ სტუდენტთა გაგზავნას პრაქტიკისთვის;
- იმ დაწესებულებებში, რომლებთანაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული პარტნიორ უნივერსიტეტებს.

პრაქტიკული კომპონენტი სავალდებულოა სამაგისტრო პროგრამის იმ სტუდენტისთვის, ვინც არ არის დასაქმებული სოციალური მეცნიერებების მიმართულებით და არ ახორციელებს პროფესიასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

**კვლევით კომპონენტში მაგისტრანტი აგროვებს 30 კრედიტს.**

საერთო საუნივერსიტეტო მოთხოვნების გარდა, აღნიშნულ პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომს წაყენება მოთხოვნა, რომ მასში ჩართული იყოს ემპირიული კვლევის კომპონენტი. ეს განაპირობებს სამაგისტრო ნაშრომების აქტუალობას, რამდენადაც ისინი ქართული სინამდვილის ანალიზს შეიცავენ. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც მაგისტრანტი ახერხებს მოახდინოს სოციალურ-თეორიული მიდგომების საინტერესო და შემოქმედებითი კომპილაცია.

## სწავლების ენა

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

## პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- შრომითი ურთიერთობების სფეროში კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ წამყვანი როლი ითამაშონ საქართველოს დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობების პოლიტიკის სფეროს ტრანსფორმაციაში და ამით კიდევ უფრო დაახლოვონ ქვეყანა ევროკავშირისა და საერთაშორისო შრომის სტანდარტებთან;
- გამოუმუშაოს სტუდენტს აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით აკადემიური და პროფესიულ საზოგადოებისთვის საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების გადაცემის უნარი;

- 
- გამოუმუშაოს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის უნარი.

## პროგრამაზე დაშვების წინა პირობა

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გზით მოიპოვებს მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების უფლებას და რეგისტრაციისთვის მიმართავს შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტს. პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აუცილებელია ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა. ინგლისური ენის შესაბამისი ცოდნის დონე დგინდება ტესტირების გზით, დიპლომის დანართით ან ენის შესაბამის დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატით. პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს წერიითი გამოცდა პარტნიორი უნივერსიტეტების ერთობლივი კომისიის წინაშე.

## სავარაუდო სტუდენტთა რაოდენობა

30

## დასაქმების სფერო

დასაქმების სფეროები: ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს სამინისტროების, საჯარო უწყებებისა და სააგენტოების, კერძო კომპანიების, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ასოციაციებისა და სხვა სამოქალაქო ინსტიტუტების სტრუქტურებში შემდეგ პოზიციებზე: ანალიტიკოსი, პროექტის ხელმძღვანელი, მრჩეველი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ევროპულ ურთიერთობებში მრჩეველი, ანალიტიკოსი, პროფკავშირებში აღმასრულებელი რგოლების თანამშრომელი, ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებისა და სოციალურ სამსახურებში და დასაქმების სააგენტოში სპეციალისტისა და წამყვანი სპეციალისტის, ასევე ხელმძღვანელის თანამდებობებზე.

მაგისტრატურის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება საქართველოს ან საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელება რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკის პოლიტიკის, დასაქმების ევროკავშირში პოლიტიკის; კეთილდღეობის სახელმწიფოს ევროპული მოდელების; შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური დიალოგის; ადამიანის უფლებათა და შრომით ურთიერთობებში ევროპის საკანონმდებლო რეგულაციების და ევროკავშირში ინტეგრაციისა და ტრანსფორმაციის თვალსაზრისით აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების გამოცდილების საკითხებზე კვლევების განსახორციელებლად.

## სწავლის შედეგები

### 1. ცოდნა და გაცნობიერება

1.1. პროგრამის დასრულების შემდეგ ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას, უახლეს მიღწევებს, ევროინტეგრაციის, შრომითი ურთიერთობების თანამედროვე სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული ასპექტების, დასაქმებისა და შრომითი პირობების გაუმჯობესების მექანიზმების შესახებ;

---

1.2. აღწერს საქართველოს შრომით ურთიერთობებს ევროინტეგრაციის კონტექსტში ევროპულ სტანდარტებთან და პრაქტიკასთან მიმართებაში. შეძლებს მის კრიტიკულ გააზრებას. ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.

## 2. უნარი

ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების მაგისტრი შეძლებს:

- 2.1. სხვადასხვა სფეროში შრომითი ურთიერთობების და მათი სხვადასხვა ასპექტების შეფასებას ევროპის კავშირში დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;
- 2.2. თანამედროვე ემპირიული კვლევის მეთოდების ადეკვატურ გამოყენებას საქართველოს შრომითი ურთიერთობების აქტუალური საკითხების შესწავლისთვის;
- 2.3. სხვადასხვა კვლევით თუ სოციალური პოლიტიკის განმახორციელებელ პროექტებში ჩართვას;
- 2.4. უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული შრომითი და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებას ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- 2.5. შრომითი ურთიერთობების სფეროში რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკულ ანალიზს, ინფორმაციის/სოციალური მონაცემების ინოვაციურ სინთეზს, შეფასებას და დასკვნების ჩამოყალიბებას, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები;
- 2.6. საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენას, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით.

## 3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- 3.1. მართავს შრომის და დასაქმების თანამედროვე სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და ორგანიზაციულ ასპექტებთან დაკავშირებით კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს და თავისუფლად ადაპტირდება შრომით ურთიერთობებში ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით;
- 3.2. შეუძლია პასუხისმგებლობის აღება სხვების საქმიანობაზე და მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებაზე, საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა;
- 3.3. ანალიზებს სფეროში მიღებულ ცოდნას/ინიციატივებს/პრაქტიკას, და საჭიროების შემთხვევაში, წვლილი შეაქვს პროფესიული ცოდნის და პრაქტიკის განვითარებაში.

## სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

- ლექცია  ჯგუფური მუშაობა  სემინარი  პრაქტიკული მუშაობა  
 სამაგისტრო ნაშრომი  პრაქტიკა  საშინაო დავალება  რეფერატი  ესე   
ელექტრონული რესურსით სწავლება  სხვა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს, მაგ. როგორცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი, ევრისტიკული მეთოდი, გონებრივი იერიშის მეთოდი, სწავლების დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი

---

და სხვა. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

მაგისტრანტები პარტნიორ უნივერსიტეტებში სწავლობენ სადამოს საათებში და შაბათ დღეს, რითაც უზრუნველყოფილია დასაქმებული სტუდენტების მოზიდვა პროგრამაზე და მათი ლექციებზე რეგულარული დასწრება.

### **შეფასების სისტემა**

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კომპონენტში კრედიტების მიღება/დაგროვება სწავლების პროცესში აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად.

სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას.

შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნა/გაცნობიერების ან/და უნარის ან/და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის შეფასების ხერხს (ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერიითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, საშინაო დავალება და სხვა.). შეფასების კომპონენტები აერთიანებს შეფასების მეთოდებს (ტესტი, ესე, პრეზენტაცია და სხვა). შეფასების მეთოდი იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეიძლება დადგინდეს შეფასების კომპონენტის/კომპონენტებისთვისაც, რაც დაწვრილებით გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსით.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მინიჭების შემთხვევაში.

### **პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა:**

#### **ხუთი სახის დადებითი შეფასება**

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

#### **ორი სახის უარყოფითი შეფასება**

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

---

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

(FX) - ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება სასწავლო კურსის შეფასების სისტემით.

### პროგრამის განხორციელებლად მისაღწევი რესურსები

2013 წელს საქართველოს სამი უნივერსიტეტისა (*სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი*) და ევროპის ოთხი უნივერსიტეტის (*ბელგია - ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი, გერმანია - მაგდებურგის უნივერსიტეტი, ბულგარეთი - ეკონომიკისა და მენეჯმენტის ევროპული კოლეჯის და ესპანეთი - სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტი*) პროფესორ-მასწავლებელთა ინიციატივით მომზადდა და TEMPUS- ოფისს დასაფინანსებლად წარედგინა ახალი ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროექტის განაცხადი, რომლის ანალოგი საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არ იყო.

პროექტის “EIGER-ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები“ ორწლიანი სამაგისტრო პროგრამის განხორციელება დაიწყო ევროკავშირის დაფინანსებით (TEMPUS-ის პროგრამის ფარგლებში 554098-TEMPUS-1-2013-BE-TEMPUS-JPCR) 2013 წლის 1 დეკემბრიდან და გაგრძელდა 2017 წლის 1 დეკემბრამდე. პროექტის ვადის ამოწურვის შემდეგ ქართული პარტნიორი უნივერსიტეტები (*სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი*) თავად უზრუნველყოფენ დათქმული პირობებით პროგრამის განხორციელებას. სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინური და ინტერსაუნივერსიტეტოა.

პროგრამით გათვალისწინებული 28 სასწავლო კურსი ეფუძნება უახლეს ლიტერატურას, ევროკავშირის ქვეყნებში შრომითი ურთიერთობების დარეგულირების მაგალითებსა და პრაქტიკას. ქართული უნივერსიტეტების მხრიდან პროგრამაში ჩართულმა პროფესორ-მასწავლებლებმა სასწავლო კურსები მოამზადეს ევროპელი კოლეგების თანამონაწილეობით და კონსულტაციით.

პროექტის ფარგლებში პროგრამაში ჩართულ თითოეულ პროფესორზე კურსის მოსამზადებლად საჭირო ლიტერატურის შეძენისთვის გამოყოფილი იყო თანხა, შეძენილი წიგნები აღრიცხულია პარტნიორი უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში, ასევე თითოეულ უნივერსიტეტს დაუფინანსდა ელექტრონული ბიბლიოთეკების სარგებლობისათვის და საჭირო ლიტერატურის ჩამოტვირთვისათვის 10000 (ათი ათასი) ევროს ღირებულების მომსახურება სამი წლის განმავლობაში. პროექტის ფარგლებში განხორციელდა პროფესორთა უცხოეთში სტაჟირება და გადამზადება, უცხოელ ლექტორთა ვიზიტები საქართველოში, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ათეული სტუდენტი უცხოელი პროფესორების

თანახელმძღვანელობით სამაგისტრო თეზისის მოსამზადებლად სასწავლო მივლინებით გაიგზავნა პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებში .

პროგრამის შემუშავებაში აკადემიური სფეროს წარმომადგენელთა გარდა ჩართული იყვნენ მხარდამჭერები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, დამსაქმებელთა და პროფესიული კავშირების/ასოციაციების და სამოქალაქო განათლების ინსტიტუციების წარმომადგენლები, ასევე კერძო ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლები. მათი დაინტერესება და ჩართულობა მყარ საფუძველს ქმნის პროგრამის კურსდამთავრებულთა ამ მიმართულებით დასაქმებისა და შემდგომი პროფესიული განვითარებისათვის.

ყველა პროექტის ფარგლებში ჩართულ პროფესორს გადაეცა საკუთარი პერსონალური კომპიუტერი.

უნივერსიტეტები ფლობენ ლოკალურ ქსელს და ინტერნეტს (უსადენო ინტერნეტით დაფარულია უნივერსიტეტის მთელი ტერიტორია);

აქვთ სრულყოფილად აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები;

დადებულია მემორანდუმები დაწესებულებასთან სასწავლო პრაქტიკისთვის;

პარტნიორი უნივერსიტეტების მატერიალური ტექნიკური ბაზა სრულად უზრუნველყოფს პროგრამის მომსახურებას თანამედროვე დონეზე.

პარტნიორი უნივერსიტეტებიდან პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი:

### შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

სახელი, გვარი	დაკავებული თანამდებობა	სასწავლო კურსი
ბექა ნაცვლიშვილი	მოწვეული ლექტორი	პოლიტიკური ეკონომია გლობალიზაცია და მისი სოციალური შედეგები
გია ლილუაშვილი	პროფესორი	ევროპისა და საერთაშორისო შრომის სამართალი შრომითი სამართალი საქართველოში - შედარებითი პერსპექტივა
ბექა ძამაშვილი	პროფესორი	სოციალურ-ეკონომიკური უფლებები ევროკავშირში
ქეთევან ჯინჭარაძე რამაზ ფარესაშვილი	პროფესორი მოწვეული ლექტორი	შრომისა და ორგანიზაციის ისტორია

ბაქარ ბერეკაშვილი	პროფესორი	აღმოსავლეთ ევროპის სოციო-ეკონომიკური ტრანსფორმაცია
გიზო ჭელიძე	მოწვეული ლექტორი	საჯარო მმართველობა და პოლიტიკა
მანანა ტაბიძე	მოწვეული ლექტორი	სამაგისტრო ნაშრომის მომზადება (აკადემიური წერა)

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

სახელი, გვარი	დაკავებული თანამდებობა	სასწავლო კურსი
იაგო კაჭკაჭიშვილი	პროფესორი	სოციალური კვლევის მეთოდები - 1 სოციალური კვლევის მეთოდები - 2
მარინა მუსხელიშვილი	პროფესორი	შრომითი ურთიერთობების სისტემა ევროკავშირის ქვეყნებში შრომითი ურთიერთობების სისტემა საქართველოში - შედარებითი პერსპექტივა სოციალური დიალოგი და დემოკრატია
გიორგი შუბითიძე	მოწვეული ლექტორი	სოციალური მეცნიერებები და შრომითი ურთიერთობები
ნინო შატერაშვილი	ასოცირებული პროფესორი	კეთილდღეობის სისტემები ევროკავშირსა და საქართველოში
ნინო ბოლქვაძე	მოწვეული ლექტორი	პროფესიული ინგლისური - 1 პროფესიული ინგლისური - 2
თამთა მარღანია	მოწვეული ლექტორი	შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგია
ალექსანდრე ცაგარელი	მოწვეული ლექტორი	მონაცემთა ანალიზი და მისი გამოყენება

**შპს კავკასიის უნივერსიტეტი**

სახელი, გვარი	დაკავებული თანამდებობა	სასწავლო კურსი
აკაკი ცომაია	ასოცირებული პროფესორი	დასაქმების პოლიტიკა და არაფორმალური ეკონომიკა
ანა დიაკონიძე	მოწვეული ლექტორი	
კახა შენგელია	პროფესორი	ევროკავშირის ფუნქციონირება: ინსტიტუტები და პროცესები
მარიამ ციხაძე		



	ასისტენტ- პროფესორი	
ანა დიაკონიძე	მოწვეული ლექტორი	შრომისა და ორგანიზაციის სოციოლოგია
მაია გონაშვილი	პროფესორი	ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი  გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა საქართველოში - შედარებითი პერსპექტივა
თეა გიორგაძე	პროფესორი	შრომის ჰიგიენა და უსაფრთხოება
გურანდა ჭელიძე	ასოცირებული პროფესორი	ევროკავშირის გაფართოება, სამეზობლო და პარტნიორობის პოლიტიკა
ნინო ჩუბინიძე	ასოცირებული პროფესორი	კონფლიქტის გადაწყვეტა და მოლაპარაკებები